10/11/2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სამძიმარი სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოს II-ის გარდაცვალების გამო

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, პაფოს მიტროპოლიტ გიორგის,

ახალი იუსტინიანესი და სრულიად კვიპროსის ტახტის მოსაყდრეს,

კვიპროსის ეკლესიის წმინდა სინოდს

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით კვიპროსის ეკლესიის სისავსეს ვუსამძიმრებთ მისი უნეტარესობის, ახალი იუსტინიანესი და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოს II-ის გარდაცვალებას, რაც დიდი დანაკლისია მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის; მან დიდი და რთული გზა განვლო და წლების მანძილზე გაწეული შრომისათვის ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა; ამიტომაც არ დაივიწყებენ მას.

ქართველი ერიც ვერ დაივიწებს მის სიკეთეს კვიპროსში XII ს-ის ქართული სავანის,

ღალიის მონასტრის, აღდგენასთან დაკავშირებულს და ასევე სხვა სამონასტრო კომპლექსის ასაშენებლად უსასყიდლოდ ტერიტორიის გამოყოფის ფაქტს. □ერ დაივიწყებს იმ მამობრივ მზრუნველობასაც, რაც კარგა ხანია ხორციელდება კვიპროსში მცხოვრები საქართველოს ეკლესიის სულიერი შვილების მიმართ.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უნეტარესობის, ქრიზოსტომოს II – ის უკვდავი სულისთვის, რათა უფალმა სავანე მართალთა დაუმკვიდროს მას, ხოლო კვიპროსის ეკლესიის მღვდელმთავრებს, სხვა სასულიერო პირებსა და საერთოდ კვიპროსის მოსახლეობას მიმადლოს მშვიდობა.


სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

patriarchate.ge